

*DIZAIN-D*

საპროექტო დოკუმენტაცია

ქ. ზუგდიდში ბუკიას ქუჩის რეაბილიტაციის მუშა  
პროექტი

დირექტორი

ბ.გოგილავა

ზუგდიდი 2014 წ.

# განმარტებითი ბარათი

## 1. ადგილმდებარეობა:

ობიექტი მდებარეობს ზუგდიდში. ზუგდიდს ცენტრიდან 2 კმ-ში.

### 1.1. ჩასატარებელი საპროექტო სამუშაოების ზოგად აღწერა:

ზუგდიდს მუნიციპალიტეტის (ხელშეკრულება №75 07.03.2014 წ.) დავკვეთთ რომელიც ითვალისწინებს ქ.ზუგდიდში ბუკიას ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაციას, ობიექტზე ჩატარდეს საკვლევამდებო სამუშაოები, კერძოდ მოხდეს ტერიტორიის ტოპოგრაფიული კვლევა. გზის საფარი ასფალტბეტონისაა საერთო სიგმით 421 მ. სიგანით 6 მ. სისქით 5+4 სმ.

არსებული გზის საფარის 80% ამორტიზირებულია, აღინიშნება სხვადასხვა სახის დაზიანებები (ორმოები, ჯდენები, გრძივი და განივი ბზარები, ბადისებრი ბზარები და სხვა). განივი პროფილის ქანობები და სისწორე არ შეესაბამება ნორმებს. ქუჩების სანიაღვრე ქსელს წარმოადგენს ძლიერ ამორტიზირებული მიწის ღია არხების სისტემა, რომელიც პრაქტიკულად უფარგისია.

პროექტით გათვალისწინებულია საგზაო სამოსის კონსტრუქცია:

ასფალტბეტონი

-საფუძველი ღორღით ფრაქცია (0-40 მმ) – სისქით 10 სმ;

-საფარის ქვედა ფენა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ა/ბეტონის ნარევით მარკა II – სისქით 5 სმ;

-საფარის ზედა ფენა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით ტიპი, მარკა II, – სისქით 4 სმ.

საპროექტო ტერიტორიიდან მოჭრილი გრუნტი, გატანილი იქნას საშვალოდ 5 კმ-ზე

## 2. კლიმატური პირობები

რაიონის კლიმატური პირობების შეფასება ეყრდნობა „ზუგდიდის“ მეტეოსადგურის მრავალწლიან დაკვირვებათა შედეგების სტატისტიკურად დამუშავებულ მონაცემებს, რომლებიც შესაბამის ცნობარებშია თავმოყრილი.

საკვლევი უბნისათვის დამახასიათებელი ჰაერის ტემპერატურული რეჟიმი და ტენიანობა, აგრეთვე ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და მათი განაწილება წლის განმავლობაში, მოცემულია ცხრილ 1-ში.

**ცხრილი 1**

		თ ვ ე ე ბ ი												საშ.
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ჰაერის ტემპერატურა °C	საშუალო	4.5	5.2	7.9	11.4	16.2	20.0	22.5	22.6	19.4	15.2	10.5	6.5	13.5
	საშუალო მინიმალური	1.4	1.8	4.0	7.2	11.4	15.6	18.4	18.6	14.8	10.8	6.7	3.2	9.5
	აბსოლუტური მინიმუმი	-17	-18	-11	-3	1	8	11	10	4	-3	-11	-15	-18
	საშუალო მაქსიმუმი	8.5	9.6	12.8	16.8	21.7	24.7	26.4	26.8	24.5	21.0	15.8	10.9	18.3
	აბსოლუტური მაქსიმუმი	19	25	32	35	37	38	41	40	37	34	29	21	41
ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა, %		74	73	73	72	76	78	82	82	83	79	74	72	76
ნალექების საშუალო რაოდენობა, მმ		204	182	136	111	78	162	235	276	332	239	218	206	2379

- ღლეების რაოდენობა 80%-ზე მეტი ტენიანობით, წლის განმავლობაში შეადგენს 80.8-ს;  
საკვლევე უბნის ტერიტორია შედის კოლხეთის დაბლობის ზღვის ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის ოლქში, კარგად გამოსახული მუსონური ხასიათის ქარებითა და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში.

